სსიპ კოლეჯი ქართლი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

(ანონსი)

2025 წელი

ხაშური, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა №15

577 004 114

info@qartlicollege.ge

https://kartlicollege.ge/

Qartli.college.vet

 სსიპ კოლეჯი ქართლი

სარჩევი

კოლეჯის შესახებ ..... **3 გვ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “**ელექტროობა**”..... **5 გვ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “**შედუღება**” ..... **7 გვ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “**აღმზრდელი**”..... **9 გვ.**

 სსიპ კოლეჯი ქართლი

კოლეჯის შესახებ

სსიპ პროფესიული კოლეჯი „**ქართლი**“ დაარსდა 2021 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

400 სტუდენტზე გათვლილი ორიგინალური არქიტექტურის შენობის მშენებლობის პროექტი განხორციელდა თანამედროვე სამშენებლო ნორმების შესაბამისად. კოლეჯში საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით კეთილმოწყობილია ადმინისტრაციული საქმიანობის სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, მაღალტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებით და ტექნიკით აღჭურვილია სახელოსნოები, კაფეტერია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი, სპორტული, საკონფერენციო და სააქტო დარბაზები, რეკრეაციული შიდა და გარე ზონები. შენობა ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის.

კოლეჯში პროფესიული პროგრამების განხორციელება იგეგმება ქვეყნისათვის პრიორიტეტული დარგების, შიდა ქართლის რეგიონისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის შრომის ბაზრის მიმდინარე და უახლოესი პერიოდის საპროგნოზო საჭიროებების გათვალისწინებით.

პირველი სასწავლო წელი კოლეჯში დაიწყო 2024 წლის 15 ოქტომბერს პროფესიული მომზადების პროგრამებით პრიორიტეტულად მოთხოვნად მიმართულებებზე: ელექტროობა, შედუღება, სანტექნიკური სამუშაოები, სატყეო საქმე, საავტომობილო ძრავის შეკეთება, ბუღალტერია, ინფორმაციული ტექნოლოგიები.

კოლეჯში თეორიული ცოდნის მიღება და პრაქტიკული უნარების დაუფლება ხელმისაწვდომია სხვადასხვა ასაკის ადამიანებისათვის – როგორც საბაზო განათლების მქონე პირებისათვის, ისე ზრდასრულთათვის ასაკის შეუზღუდავად.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და კვლავ აგრძელებს პარტნიორთა ქსელის განვითარებას პროფესიული პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში მათი ჩართულობისა და კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმებაში ხელშეწყობისათვის.

მისია

კოლეჯი „ქართლი“ მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ტრადიციული ხელობებისა და თანამედროვე პროფესიების მიმართულებებით.

ხედვა

2028 წლისათვის კოლეჯი „ქართლი“ საქართველოში და საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი წამყვანი საგანმანათლებლო სივრცე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების სწავლებასა და დასაქმება-მეწარმეობის ხელშეწყობაში.

ღირებულებები

ჩვენი კულტურით პოზიტიური ცვლილებები შეგვაქვს ადმიანების ცხოვრებაში.

ჩვენი სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის, უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში, უზრუნველვყოფთ სწავლის, მუშაობისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს.

ჩვენ ვქმნით თანამედროვე, მაღალი სტანდარტების, ინკლუზიურ და მდგრად პლატფორმას მისიის შესასრულებლად, რომელიც ეფუძნება:

- კეთილსინდისიერებას
- პროფესიონალიზმს
- გუნდურობას
- ინიციატიურობის წახალისებას
- სტუდენტზე ორიენტირებულებას
- ინოვაციურობის მხარდაჭერას
- ტექნოლოგიურ განვითარებას
- საქმიანობის გამჭვირვალობას
- პარტნიორებთან თანამშრომლობას
- სოციალური პასუხისმგებლობა

კოლეჯის დევიზი: **„განათლება გვაძლიერებს“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

“ელექტროობა”

პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: ელექტროობა/ Electricity

პროგრამის დონე: III დონე

საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: **07.24.1**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში /Basic Vocational Qualification in Electricity

პროგრამის ხანგრძლივობა: 45 კვირა

სასწავლო კრედიტების რაოდენობა: საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 66 კრედიტი

პროგრამის მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო ზოგადი განათლება

პროგრამის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
2. აღწეროს ელექტრული წრედების ელემენტები და საზომი ხელსაწყოები
3. უზრუნველყოს ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით
4. აღწეროს ელექტრული მანქანები
5. აღწეროს ელექტრული ტექნოლოგია
6. უზრუნველყოს მუდმივი და ცვლადი დენების ანგარიში და წრედებში დანაკარგები
7. გამოიყენოს მათემატიკა ელექტროობაში
8. განახორციელოს ელექტროსამონტაჟო სამუშაოები
9. უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - “ელექტროობა” მოდულები

ზოგადი მოდულები

1. ინგლისური ენა
2. ინფორმაციული წიგნიერება
3. პიროვნული და ინტერპერსონალური კომუნიკაციები

პროფესიული მოდულები

1. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
2. ზოგადი ელექტროტექნიკა
3. ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით
4. ელექტრული მანქანები
5. ელექტრული ტექნოლოგია
6. ელექტრული წრედები
7. მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის
8. ელექტროსამონტაჟო სამუშაოები
9. პირველადი გადაუდებელი დახმარება

პროგრამის განხორციელების ადგილი: სსიპ კოლეჯი “ქართლის” აუდიტორიები და სასწავლო სახელოსნო.

 სსიპ კოლეჯი ქართლი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

“შედუღება”

პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: შედუღება/Welding

პროგრამის დონე: IV დონე

საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: 07.11.1

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Secondary Vocational Qualification in Welding

პროგრამის ხანგრძლივობა: 70 კვირა

სასწავლო კრედიტების რაოდენობა: პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 87 კრედიტი

პროგრამის მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საბაზო ზოგადი განათლება
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა - 100/ა“

პროგრამის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაიცვას გარემო და შრომის უსაფრთხოება
2. შეასრულოს სამუშაო შედგენილი ნახაზით
3. შეასრულოს ხელით ელექტრორკალური შედუღება
4. შეასრულოს ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG) და ინერტულ (MIG) აირებში
5. შეასრულოს არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება
6. შეასრულოს ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება
7. შეადუღოს ლეგირებული ფოლადები
8. შეადუღოს ფერადი ლითონები
9. შეადუღოს პლასტმასები შეადუღოს კონსტრუქციები

10. დაამუშაოს ლითონები თერმულად
11. გაარჩიოს შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები
12. მოამზადოს მასალები შედუღების პროცესისთვის
13. გამოიყენოს შედუღების ტექნოლოგია
14. უზრუნველყოს ხარისხი შენადუღ შეერთებაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "შედუღება" მოდულები

ზოგადი მოდული

1. მეწარმეობა
2. ინფორმაციული წიგნიერება
3. უცხოური ენა (ინგლისური)
4. სამოქალაქო განათლება

საერთო პროფესიული მოდულები

1. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
2. ხელით ელექტრორკალური შედუღება
3. ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG)
4. და ინერტულ (MIG) აირებში
5. არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება
6. შედუღების მასალები
7. ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება
8. ლეგირებული ფოლადების შედუღება
9. ფერადი ლითონების შედუღება
10. ტექნიკური ნახაზების შესრულება
11. კონსტრუქციების შედუღება
12. ლითონების თერმული დამუშავება
13. პლასტმასის შედუღება
14. შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადება
15. შედუღების ტექნოლოგია
16. ხარისხის უზრუნველყოფა შენადუღ შეერთებაში

არჩევითი ბლოკი

1. ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა

პროგრამის განხორციელების ადგილი: სსიპ კოლეჯი "ქართლის'' აუდიტორიები და სასწავლო სახელოსნო.

 სსიპ კოლეჯი ქართლი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

“აღმზრდელი”

პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: აღმზრდელი / Educator

პროგრამის დონე: V დონე

დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education

პროგრამის ხანგრძლივობა: 84 კვირა

პროგრამის დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

სასწავლო კრედიტების რაოდენობა: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 116 კრედიტი

პროგრამის მიზანი: აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემოს შექმნა და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა
3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
4. წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - “აღმზრდელი” მოდულები

ზოგადი მოდულები

1. ინფორმაციული წიგნიერების
2. მეწარმეობა
3. უცხო ენა (ინგლისური)

პროფესიული მოდულები

1. გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება
2. პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება
3. შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში
4. პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
5. ბავშვის განვითარების თავისებურებები
6. ადრეული განათლების კურიკულუმები
7. დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაშ
8. დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
9. ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
10. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
11. თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
12. საგანმანათლებლო გარემო
13. ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
14. ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია
15. კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
17. წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
18. სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
19. პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
20. მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
21. კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
22. კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში
23. ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
24. მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში

პროგრამის განხორციელების ადგილი: სსიპ კოლეჯი “ქართლის’’ სასწავლო აუდიტორიები და კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის - ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება“ საბავშვო ბაღები